ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 112
დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
(დომენური სახელ(ებ)ის ნაციონალურ GE დომენურ ზონაში რეგისტრაცია)

ქ. თბილისი 01.04.2022 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ილია დევიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს,,პროსერვისი", როგორც დომენის რეგისტრატორი, წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ნატროშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები",საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, <u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით,</u> ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს იტერნეტდომენური სახელების: **court.ge (02.04.2022წ); ecourt.ge (17.05.2022წ); geocourts.ge (07.05.2022წ); icourt.ge (17.05.2022წ); msajuli.ge (13.07.2022წ);** დროებით სარგებლობაში გადაცემა (ნაციონალურ GE. დომენურ ზონაში ერთწლიანი რეგისტრაცია). (CPV – 72417000)
3.2 თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება, თუ ის შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ერთი ინტერნეტდომენური სახელის ნაციონალურ GE. დომენურ ზონაში რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **150.00** (ასორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის უფროსი სისტემური ადმინისტრატორი - ლერი სამადაშვილი.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარება დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ადგენენ და ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები მომსახურების გააქტიურების შესაბამისად.
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი - კახა სარალიძე.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

7.1 მომსახურების გააქტიურების ვადა: **court.ge - 02.04.2022წ;**
ecourt.ge - 17.05.2022წ;
geocourts.ge - 07.05.2022წ;
icourt.ge - 17.05.2022წ;
msajuli.ge -13.07.2022წ;

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.4. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი..

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და
დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, მომსახურების გაწევის შეფერხებების შემთხვევაში თითოეულ ჯერზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ს/კ 203860642

ილია დევიძე
თავმჯდომარე

მიმწოდებელი:
შპს „პროსერვისი“
მის: ქ.თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №3
ს/კ 204929168
სს "თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ა: GE28TB0600000303467561

რევაზ ნატროშვილი
დირექტორი

Revaz Natroshvili 01008001002
Digitally signed by Revaz Natroshvili
Date: 2022.04.01 15:30:49